საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 09/30-09 „22" 05 2017 წ.

დეკანის ბრძანება № 9/2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტის "სახელმძღვანელოების კონკურსი" განხორციელების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მუხლი №2.2.1 საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოების შექმნის/განახლების კონკურსი;
2. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 20 000 ლარი;
3. ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს; არსებულის განახლება (2011 წლამდე გამოცემულის) – 3 000 ლარს;
4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს;
5. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დეკანის სახელზე, სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია (მინიმუმ 500 სიტყვა) და სავარაუდო სარჩევი. სახელმძღვანელო გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილით. სახელმძღვანელოს განახლების შემთხვევაში, დამატებით უნდა წარმოადგინონ ძველი სახელმძღვანელოს ნიმუში;
6. სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი დარგის საერთაშორისო სტანდარტებს;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

7. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ვადებია: 1-5 ივნისი;
8. გამარჯვებული პროექტები გამოცხადდეს 9 ივნისს;
9. პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 2017 წლის 1 დეკემბრამდე;
10. დაფინანსებული პროექტის ანაზღაურება მოხდება სახელმძღვანელოს წარდგენის, რეცენზირებისა და ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ;
11. დამტკიცებული სახელმძღვანელოები გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით;
12. დაფინანსებული პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
    - რევაზ ჯორბენაძე – კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
    - იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი;
    - ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
    - ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
    - ხათუნა მაისაშვილი – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი
    - ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი;
13. საკონკურსო საბუთები უნდა აიტვირთოს ბმულზე https://tsu.ge/ge/faculties/social/news/
14. დეკანის სამდივნომ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
15. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ.დოლბაია